ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №7

ლანჩხუთი **3.07.2019 წელი**
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო კვირკველია.

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახა ასკურავა .

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. ქ. ლანჩხუთში ე. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტის „გურული მხედრების სახელობის მოედნად“ სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: ვერიკო კვირკველია/

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი- კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩაზე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ მდებარე მოედნის სახელდების შესახებ საკითხზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ პეტიცია და ასევე რუკა, რომელზედაც ნათლად ჩანს მოედნის საზღვრები.

კომისიის წევრების მიერ არ გამოთქმულა საწინააღმდეგო მოსაზრება და სრულიად იქნა გაზიარებული აღნიშნული საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-3
წინააღმდეგი – 0

2.სხვადასხვა საკითხები.

ვინაიდან კომისიის წევრების მიერ სხვა საკითხები არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: **ვერიკო კვირკველია**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №7

ლანჩხუთი 3.07.2019 წელი

1. ქ. ლანჩხუთში ე. ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტის „გურული მხედრების სახელობის მოედნად“ სახელდების შესახებ.

დასკვნა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ე. ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ მოედანს ეწოდოს გურული მხედრების სახელობის მოედანი.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

3.07.2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	12.00	
2	კახა ბოლქვაძე	11:55	
3	გოდერძი ქურიძე	11:55	
4	კახაბერ ასკურავა		